



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

## გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №36/7

2022 წლის 18 აგვისტო

ქ. თბილისი

### საბალანსო სიმძლავრისა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასის ზღვრების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესების“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადამცემი სისტემის ოპერატორი საბალანსო სიმძლავრისა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასის ზღვრებს აწესებს კომისიასთან შეთანხმებით.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, რომელიც კომისიის 2021 წლის 13 მაისის №20/1 გადაწყვეტილებით გაცემული №008 (სერიით 12) ლიცენზიის საფუძველზე არის გადამცემი სისტემის ოპერატორი (გადამცემის ლიცენზიატი), 2022 წლის 11 აგვისტოს №4679/01 წერილით კომისიაში შესათანხმებლად წარმოადგინა საბალანსო სიმძლავრისა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასის ზღვრები.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საბალანსო სიმძლავრისა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასის ზღვრები და მიზანშეწონილად მიიჩნევს მათ შეთანხმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესების“ 32 მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, კომისიამ

### გადაწყვიტა:

1. შეთანხმებულ იქნეს საბალანსო სიმძლავრისა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასის ზღვრები შემდეგი რედაქციით:
  - ა) საბალანსო სიმძლავრის ფასის მინიმალური ზღვარია 0 (ნული) ლარი/მეგავატი;
  - ბ) საბალანსო სიმძლავრის ფასის მაქსიმალური ზღვარია 1,100 (ათას ასი) ლარი/მეგავატი;
  - გ) საბალანსო ელექტროენერჯის ფასის მინიმალური ზღვარია -220 (მინუს ორას ოცი) ლარი/მეგავატსაათი;

დ) საბალანსო ელექტროენერჯის ფასის მაქსიმალური ზღვარია 1,100 (ათას ასი) ლარი/მეგავატსაათი.

2. დაევალოს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება კომისიის ვებგვერდზე ([www.gnerc.org](http://www.gnerc.org)).
3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

